Georgische Zeitung „SAKARTHWELO“

საქართველო

N 14 (91) გამოც. მე-3 წელი. ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი, 2 აპრილი, 1944 წ.

ამაყი ერის პასუხი

პატარა, მაგრამ გმირული სულის მქონე ფინეთი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მედგრად იცავდა თავს რუსეთის თავდასხმებისაგან, დღესაც აჩვენებს მთელ მსოფლიოს სიმტკიცისა და ამტანიანობის ჯასოცარ მაგალითებს. ფინელი ხალხის ისტორიული ბრძოლა უზარმაზარი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რაც მხოლოდ თავდაცვის მიზანს ისახავს, განსაკუთრებულ სიმპატიას იმსახურებს თავისუფლებისმოყვარე ყველა პატარა ერში.

მთელი მსოფლიოს ყურადღება დღეს მიპყრობილია იმ ფაქტისაკენ, თუ როგორი თავგამოდებით იგერიებს ფინეთი ბოლშევიკთა შეტევებს.

ამ რამდენიმე დღის წინათ ფინეთის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა კომუნიკე ფინეთის რაიხსტაგში განხილულ საბჭოთა კავშირის მიერ წაყენებულ ზავის პირობათა და ფინეთის მთავრობის მიერ მათი უარყოფის შესახებ.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ფინეთის მთავრობამ გულდასმით შეისწავლა ზავის წაყენებული პირობები.

მიიღო რა მხედველობაში საბჭოების განმარტება იმის შესახებ, რომ წაყენებული პირობები წარმოადგენენ მინიმალურსა და ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნილებებს, რომლებიც ყოველგვარი დისკუსიის გარეშე უნდა იქნან მიღებული, ფინეთის მთავრობამ, ეყრდნობოდა რა რაიხსტაგის გადაწყვეტილებას, აცნობა საბჭოებს, რომ ასეთ შემთხვევაში იგი იძულებულია უარყოს აღნიშნული პირობები.

კომუნიკეში გამოთქმული თვალსაზრისი წარმოადგენს მთელი ფინელი ხალხის თვალსაზრისს. ადოლფ ჰიტლერი, თავის ინტერვიუში ფინეთის საკითხზე, შეეხო რა კომუნიკეში აღნიშნულ მომენტს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებს ისევე ნაკლებად შეიძლება ენდო, როგორც ინგლის-ამერიკელთა მიერ დიროგებულ გარანტიებს, აღნიშნავს:

„...რანაირი ფრაზებითა და რა წინადადებებითაც არ უნდა იყოს საბჭოთა პირობები გამოთქმული, — პრაქტიკულად სულერთია. სიტყვა ეხება მხოლოდ იმას, რომ მსხვერპლს ყელზე მარყუჟი ჩამოაცვან და შემდეგ გამოსწიონ იგი დანიშნულ დროს...“

არავის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს ბოლშევიკთა საბოლოო განზრახვაში, სახელდობრ: არაბოლშევიკური ხალხების განადგურება ევროპაში, და ამ შემთხვევაში, უწინარეს ყოვლისა, ფინელებისა. ამ მიზანს რომ მიაღწიონ, როგორც ჩვენი მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, დაწყებულია „ნერვების ომი“ ფინეთის წინააღმდეგ“. ერთადერთი სწორი ნაბიჯი, რის გაკეთებაც ასეთ სერიოზულ მდგომარეობისას შეუძლია ხალხს, ეს არის საკუთარ ძალებზე დაყრდნობა.

საბჭოების მიერ წაყენებულ ულტიმატური ფორმის მოთხოვნილებებზე ჰელსინკმა საკმაოდ ნათელი პასუხი გასცა და ამით ბოლო მოუღო ბოლშევიკების მიერ მზაკვრულ თამაშს ფინელ ხალხთან.

ფინელების პასუხი აღსავსეა დამახასიათებელი სიამაყით იმ ერისათვის, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და უშიშროებას. და თუ საბჭოთა მთავრობა კვლავ შეეცადა თავის მორიგ მსხვერპლს ყელზე მარყუჟი ჩამოაცვას, რათა შემდეგ იგი თავისკენ გასწიოს, ფინეთის პასუხი გვიჩვენებს, რომ პატარა ერსაც შეუძლია დაუმტკიცოს დიდსა და მძლავრ სახელმწიფოებს თავისი ურყეობა და დაიცვას თავისი პატივი.

მეტად დამახასიათებელია საბჭოების ჭეშმარიტ ზრახვათა ნათელსაყოფად შემდეგი ფაქტი: მოლაპარაკებათა მსვლელობისას ფინეთის მთავრობამ სთხოვა ბოლშევიკებს დაეზუსტებინათ ცალკეული პუნქტები. მოსკოვმა უარი განაცხადა რაიმე ახსნა-განმარტების მიცემაზე. მარტო ეს გარემოება საესებით აშკარად ადასტურებს, რომ ბოლშევიკები მიისწრაფოდნენ მოეტყუებინათ ფინელი ხალხი და ხელთ ეგდოთ ქვეყანა.

ყველა ფინური გაზეთი მთლიანად იზიარებს მთავრობის პასუხს საბჭოების წინადადებებზე. გაზეთი „უუსი სუომი“ სწერს:

„ერთხელ დავიწყეთ რა ბრძოლა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, მოვალე ვართ განვაგრძოთ იგი. ფინეთს არ შეეძლო თვალები დაეხუჭა და დასთანხმებოდა პირობებს, რომელთა მიღება ქვეყანას კვლავ იმ საფრთხის წინაშე დააყენებდა, რის დასაცავადაც ჩვენ იძულებული ვიყავით ომში ჩავებმულიყავით. ჩვენი ხალხი შემდგომშიც დაიცავს თავის უფლებას ადამიანური არსებობისათვის.“

მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს წერილი სტოკჰოლმის გაზეთ „დაგბლადეტ“-ში, რომელშიაც სხვათაშორის, ნათქვამია, რომ შვეცია უნდა იყოს ფინეთის მადლიერი მის მიერ გამოჩენილი სიმტკიცისათვის“.

წერილის ავტორი, პროფესორი რეიტერსკოლდი, სწერს: „მოსკოვის ყველა სურვილი დაეწყო რეგულირება ხალხთა შორის ერთიერთობისა, მის მიერ ყველა სახის ხელშეკრულებათა დადება, — უნდა განვიხილოთ, როგორც ახალ საშუალებათა გამონახვა ერთი მიზნის მისაღწევად: ევროპისა და მთელი მსოფლიოს ბოლშევიზაცია და ევროპული კულტურის განადგურება. ეს ზედმეტი არ იქნებოდა ყოველთვის მხედველობაში ჰქონოდა შვეციელ შეამავლს“.

ფინეთი, როგორც ნიმუში საკუთარი მეობის გმირულად დამცველი ქვეყნისა, მტკიცედ სდგას თავისი დამოუკიდებლობის სადარაჯოზე. მისი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა შეურიგებელი ბრძოლის ცეცხლით აღანთებს ბოლშევიკური რუსეთის მიერ დაპყრობილ ყველა პატარა ხალხს. ქართველი ერი, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები ყოველთვის სულიერ ნათესაობას განიცდიდნენ ჩრდილოეთის ამ შეუდრეკელ ხალხთან, დღესაც უერთებს მას თავის ცეცხლოვან სურვილებს და გამოსთქვამს რწმენას, რომ თავისუფლებისმოყვარე ფინელმა ხალხმა უნდა გაიმარჯვოს და კიდეც გაიმარჯვებს.

კალევალას ქვეყნის ეს სამამულო ომი ჩვენთვისაც საუკეთესო შთაგონებას წარმოადგენს.

გერმანიის ავიაციის ბრწყინვალე გამარჯვება

25 მარტს ღამით ინგლისის ავიაციამ მოახდინა ახალი თავდასხმა ბერლინზე. გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობით, ინგლისელებმა განიცადეს მძიმე დანაკარგი — ჩამოგდებულია 112 ოთხმოტორიანი ბომბდამშენი.

ინგლის-ამერიკული პრესა უკანასკნელ ხანებში აწარმოებდა გაძლიერებულ აგიტაციას, ამტკიცებდა რა, თითქოს, გერმანიის საჰაერო გამანადგურებლების წინააღმდეგობის ძალა უკვე ამოიწურა. ეხლა ინგლის-ამერიკელებმა უნდა აღიარონ, რომ მათ შეცდომაში შეჰყავდათ მთელი მსოფლიო.

ინგლისელები თვითონვე ადასტურებენ 80 ბომბდამშენის დაკარგვას. ბრიტანეთის 112 ჩამოგდებული თვითმფრინავი, ეს არის ინგლისის ავიაციის ყველაზე დიდი დანაკარგი ღამის თავდასხმების დროს. ინგლისელების ფაქტიური ზარალი კიდევ უფრო მეტია, ვინაიდან რიცხვი — 112 დადგენილი იყო გერმანიის სარდლობის მიერ, ნამდვილად კი საჭიროა ყოველთვის დაემატოს 50 პროცენტი. ეს ის დანაკარგია, რომელსაც ინგლისელები განიცდიან თავიანთ ბაზებზე დაბრუნების დროს. მრავალი თვითმფრინავი, რომელიც ზიანდება საჰაერო ბრძოლის დროს, ვეღარ აღწევს საკუთარ აეროდრომს და ვარდება ან ზღვაში ან თვით ინგლისის ტერიტორიაზე. ამის გამო უნდა ჩავთვალოთ, რომ ინგლისელების ზარალი ამჯერად აღწევს 150 თვითმფრინავს.

ბრიტანეთის ავიაციამ ამასთანავე დაჰკარგა 1.500-მდე კაცი სპეციალურად მომზადებული საფრენოსნო პერსონალიდან.

იტალიის ფრონტი. ადგილმდებარეობასთან შეხამებით ჯარისკაცთა ჯგუფი მიდის შეტევის დასაწყებად.

ბრძოლა ინდოეთის განთავისუფლებისათვის

როგორც უკვე ვწერდით, იაპონური და ინდოეთის ნაციონალური არმია ბირმაში, უკანასკნელი სამხედრო ოპერაციების განმავლობაში, სულ უფრო აიწროებდნენ რკალს მათ მიერ გარემოცული ინგლის-ინდოეთის არმიის მე-48 და მე-63 ბრიგადების გარშემო ტ ი უ ნ გ ვ ა ნ ი ს ოლქში. 14 მარტიდან ბრიტანული ჯარების მიმართ, რომელთა რიცხვი 10.000 კაცს აღწევს, მიტანილ იქნა განუწყვეტელი იერიშები ხმელეთსა და ჰაერში. 16 მარტს მათ

დაიწყეს უკანდახევა მთელ ფრონტზე ქალაქ ტ ი დ ი მ ი ს რაიონში, ტ შ ი ნ ი ს მთებში. ამ დროის განმავლობაში იაპონურმა ჯარებმა, ინდოეთის ნაციონალურ არმიასთან ერთად, დაიკავეს ქალაქი ტ ო ი ტ ო მ ი და შეტევები განაგრძეს მდინარე მ ა ნ ი პ უ რ ი ს მიმართულებით.

17 მარტს იაპონურმა ჯარებმა აიღეს ოპერატიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი სიმაღლე გ ე ნ ე ტ ი და განაგრძეს გაქცეულ ინგლისელთა დევნა. ინგლის-ინდოეთის მე-17 დივიზია ნახევრად განადგურებულ იქნა, მან უწესრიგოდ იწყო უკანდახევა, დასტოვა ქალაქი ტ ი დ ი მ ი, ხმარობდა რა ყოველგვარ ღონეს მდინარე მ ა ნ ი პ უ რ ზ ე გადასასვლელად. იაპონელებმა მოახდინეს მდინარის ბლოკირება და დაიკავეს ყველა მნიშვნელოვანი გადასასვლელი. ს ი ნ გ ე რ ი ს ზეგანზე 2.000-მდე ბრიტანელი ჯარისკაცი, რომლებიც მე-17 დივიზიის დასახმარებლად უნდა მისულიყვნენ, გარემოცვაშია მოქცეული.

ინდოეთის ნაციონალურ-განმთავისუფლებელი არმია სუბჰას ჩანდარა ბოსეს მეთაურობით, რამდენსამე ადგილას გადავიდა მდინარე მ ა ნ ი პ უ რ ზ ე და ღრმად შესდგა ფეხი ინდოეთის ტერიტორიაზე.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, იაპონური და ინდოეთის ნაციონალური არმიის გაერთიანებული ნაწილები შეიჭრნენ მდინარე მ ა ნ ი პ უ რ ი ს აუზში. ინგლის-ინდოეთის მე-20 დივიზია უკან იხევს სამხრეთის მიმართულებით, კ ა ბ ა უ ს ხეობის გასწვრივ. ამ ხეობაში აღნიშნულ დივიზიას აეიწროებენ იაპონელთა და ინდოელთა ნაწილები. მე-20 დივიზიას ან განადგურება მოელის, ანდა მთლიანად იარაღის დაყრა.

ტ ი უ ნ გ ც ო ნ თ ა ნ იაპონელებმა ალყა შემოარტყეს 3.000 ინგლისელ ჯარისკაცს, რომელთაც მოკლე ხანში განადგურება ვერ ასცდებათ.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ტოჯომ, ინდოეთის ხალხისადმი თავის მიმართვაში გამოსთქვა განსაკუთრებული სიხარული, რომ ინგლისის უღელქვეშ მგმინავი 400 მილიონი ინდოელი, ეხლა ახალი იმედით შეჰყურებს მომავალს. იაპონიის მიზანია ინდოეთის სრული განთავისუფლება.

რეიტერის სააგენტო, ლორდი მოუნტბეტენის მთავარი სადგომიდან მიღებული ცნობების საფუძველზე, არ უარყოფს, რომ იაპონელებმა გადალახეს ინდოეთის საზღვარი და განაგრძობენ თავიანთ შეტევებს.

უნგრეთის მთავრობის ფიცი

უნგრეთის რეგენტმა ადმირალმა ხორტიმ განსაკუთრებული აუდიენციით მიიღო უნგრეთის ახალი მინისტრ-პრეზიდენტი სტოიაი და მისი კაბინეტის წევრები. აუდიენციის შემდეგ, ახალმა მთავრობამ ფიცი მისცა რეგენტს, რის შემდეგაც სტოიაის თავმჯდომარეობით შესდგა კაბინეტის პირველი სხდომა. სტოიაიმ მიესალმა მინისტრებს და გამოსთქვა იმედი, რომ მთავრობა თავის მუშაობაში გამოავლენს მთლიან ერთსულოვნებას.

იზრდება იაპონიის ბრძოლისუნარიანობა

ტოკიოს საინფორმაციო ბიუროს ცნობით, იაპონიის კაბინეტმა დაადგინა, გაატაროს ახალი ღონისძიებანი სამხედრო მრეწველობის ნაყოფიერების გაზრდისათვის.

იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტმა ტოჯომ პარლამენტში წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ მთავრობის უკანასკნელი ღონისძიებანი, იაპონიის შემდგომი გაძლიერებისათვის ისახავენ მიზანს მიაღწიონ ქვეყნის საყოველთაო მობილიზაციას და პირველ რიგში იაპონიის ავიაციის გაძლიერებას. მთავრობა მიიღებს ყოველგვარ ზომებს შეინარჩუნოს იაპონიის ხალხის სასიცოცხლო სტანდარტი. მთავრობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ხალხი მხარს უჭერს მის ღონისძიებებს.

„მოკავშირეები“ დავობენ

ნავთისათვის ბრძოლა მახლობელ და შუა აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის კვლავ გრძელდება. ვაშინგტონსა და ლონდონს შორის სულ უფრო მეტი უთანხმოებანი იჩენენ თავს ამერიკისა და ბრიტანეთის სანავთო ინტერესების განსაზღვრის საკითხზე, ვინაიდან ამერიკა სცდილობს მიიღოს მოზრდილი ლუკმა, მიუთითებს რა იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისს ნავთით გაძლიერებით ამარაგებენო.

ინგლისზე დაწოლის მიზნით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის მთავრობა ჩაითრიეს. ამერიკის პრესა ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ანგარიში გაეწიოს საბჭოთა კავშირის დაინტერესებას ნავთის საკითხში. ინგლის-ამერიკელთა განზრახვამ, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მოეწყოთ ბაზა სამხედრო ფლოტისათვის, უკვე გამოიწვია უნდობლობა მოსკოვის მხრივ.

*

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ პრეზიდენტმა რუზველტმა სრულიად მოულოდნელად მიიწვია თეთრ სახლში თათბირზე ამერიკის გენერალური შტაბის უფროსი მარშალი, სამხედრო მინისტრი სტიმსონი და საზღვაო მინისტრი ნოქსი. თათბირზე გარჩეული იქნა სამხრეთ აზიაში ბრიტანეთის მთავარსარდლის, ვიცე-ადმირალი მოუნტბეტენის სტრატეგია. ამერიკელთა აზრით, მოკავშირეებს უნდა დაეწყოთ შეტევები ბირმაზე ნოემბერში. სტილველი, ამერიკელი გენერალი, მოუნტბეტენის თანაშემწე, იმედოვნებდა, რომ ამ შეტევების შედეგად დაუკავშირდებოდა ჩან-კაი-შეკის ჯარებს და ჩინეთში გავიდოდა. მაგრამ მოუნტბეტენი აგვიანებდა, როდესაც მან დაიწყო შეტევა იანვარში, იგი მარცხით დამთავრდა.

საზღვაო მინისტრი ნოქსი თუმცა უარყოფს, რომ პრეზიდენტ რუზველტთან ჩატარებულ თათბირს მიზნად ჰქონდა მოუნტბეტენის სტრატეგიის განხილვა, მაგრამ ამერიკულ წრეებში თეთრი სახლის საგანგებო კონფერენცია მაინც განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს და ცხარე კამათის საგანს წარმოადგენს.

*

ფაშიზმის 25 წლისთავი

იტალიაში ფაშიზმის დამყარების 25 წლისთავის გამო, ბერლინში ელ ანფუზოს მეთაურობით შესდგა ყველა ფაშისტთა კრება. ანფუზომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც ხაზი გაუსვა, რომ ფაშიზმმა თავისი არსებობის 25 წლის განმავლობაში იტალია გააჯანსაღა მატერიალურად და მორალურად. იტალიის ახალი სოციალისტური რესპუბლიკა იცოცხლებს, რადგან ფაშიზმმა გამოამჟღავნა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. იტალიის რესპუბლიკას, ბენიტო მუსოლინის სახით, ჰყავს მისი ბედის ხელმძღვანელი. მუსოლინი, ადოლფ ჰიტლერის გვერდით, წარმოადგენს ბელადის მაგალითს ერის საუკეთესო ღირსებათა გამომუშავებისათვის.

მამაცი გერმანელი გრენადერები მიიწევენ წინ.

მდგომარეობა ფრონტებზე

(კვირეული მიმოხილვა)

აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ ნაწილში მრავალ ადგილას გრძელდება უმძაფრესი ბრძოლები. ნ ი კ ო ლ ა ე ვ თ ა ნ გერმანიის ჯარი რამდენიმე კვირაა მამაცურად იგერიებს მტერს და აყენებს მას აურაცხელ ზარალს. ამავე რამდენიმე კვირის განმავლობაში გერმანიის ჯარმა დაანგრია ქალაქის ყველა სამხედრო ობიექტი და 28 მარტს დასტოვა იგი.

მდინარე დნესტრისა, ბუგსა და პრუტს შორის სასტიკი ბრძოლები გრძელდება. გერმანულმა და რუმინულმა ჯარებმა უკუაქციეს მტრის მრავალი შემოტევა. მძაფრი ბრძოლებია აგრეთვე პ რ ო ს კ უ რ ო ვ ი ს, ჩ ე რ ნ ო ვ ი ც ი ს, ტ ა რ ნ ო პ ო ლ ი ს ა და ბ რ ო დ ი ს რაიონებში, სადაც გერმანიისა და უნგრეთის ჯარები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ საბჭოთა შემოტევებს.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის 29 მარტის ცნობით, კ ო ვ ე ლ შ ი გამაგრებულმა გერმანიის ჯარებმა კვლავ დიდი წარმატებით მოიგერიეს მტრის იერიშები და უკან დაახევინეს მას აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ასევე მდინარე დნეპრისა და ჩაუსის შორის და ვ ი ტ ე ბ ს კ ი ს მახლობლად მტერმა მრავალი ათასი მკვდარი და დიდძალი იარაღი დასტოვა.

ჩრდილოეთში, ო ს ტ რ ო ვ ი ს ა და ნ ა რ ვ ი ს რაიონში გერმანულმა ჯარებმა და ლატვიელ მოხალისეთა შენაერთებმა წარმატებით მოიგერიეს და გაანადგურეს მტრის სასტიკი შემოტევები.

28 მარტს გერმანიის ფლოტის არტილერიამ ჩამოაგდო ფინეთის უბეში საბჭოთა სამი ბომბდამშენი.

სამხრეთ იტალიაში ბრძოლები მიწყნარდა. კ ა ს ი ნ ო ს მედგარი თავდაცვით, რომელიც განსაცვიფრებელი წარმატებით გრძელდება და რითაც მტერმა უამრავი ზარალი განიცადა, ეს უკანასკნელი იძულებული გახდა თავდასხმები შეეჩერებინა.

გერმანიის საბრძოლო თვითმფრინავთა მსხვილი შენაერთი 28 მარტს თავს დაესხა მტრის გამაგრებულ კუნძულს ლ ი ს ა ს, ძლიერ დააზიანა ნავსადგური და მახლობელი სიმაგრეები.

გერმანულმა საბრძოლო „თვითმფრინავებმა ჩასძირეს ქ ა ნ ც ი ო ს ახლოს მტრის ერთი საბარგო გემი და დააზიანეს ორი ხომალდი.

მტრის ბომბდამშენებმა აწარმოეს რამდენიმე თავდასხმა დასავლეთ გერმანიის ინდუსტრიულ რაიონებზე, განსაკუთრებით ე ს ე ნ ს ა და ო ბ ე რ ჰ ა უ ზ ე ნ ზ ე. ამის საპასუხოდ გერმანიის საჰაერო ესკადრამ მოახდინა 28 მარტს ძლიერი მასობრივი თავდასხმა ქალაქ ბ რ ი ს ტ ო ლ ზ ე, რითაც მას დიდი ზარალი მიაყენა.

ვეზუვის ამოფრქვევის შედეგები

სამხრეთი იტალიიდან მიღებული ცნობებით ვეზუვის ამოფრქვევა კატასტროფულ მასშტაბებს ღებულობს. უკვე 25.000 კაცი უბინაოდ არის დარჩენილი. ვულკანის მისასვლელთან გაშენებული დაბებისა და სოფლების მოსახლეობა გარბის უგზოუკვლოდ. საფრთხეში მყოფი სოფლების მცხოვრებთა ევაკუაცია გრძელდება.

წიაღვარი გაიყო რამდენიმე ჭავლად და თან ამოაქვს კლდის უშველებელი ნატეხები, ქვები და ლორდი. ფერფლისა და ქვის წვიმა განუწყვეტლივ ჰფარავს ნეაპოლის უბის რაიონს. საფრთხე მოელის სანაპირო ქალაქ ტორე ანუნციატოს. ქარს ფერფლი მიაქვს თვით სალერნოს დასახლებულ პუნქტებამდე. კვამლისა და ფერფლის სქელი ღრუბლები მოდებულია 120 კილომეტრის მანძილზე და აღწევენ ქალაქ ბარის, სადაც იმდენად ჩამობნელდა, რომ დღისით მცხოვრებლები იძულებული არიან სინათლე აანთონ. მსხვერპლთა რიცხვი 2.000 კაცს აღწევს.

ინგლის-ამერიკელი ხელისუფალნი ამ სტიქიური კატასტროფის წინაშე სრულ უძლურებას იჩენენ და აქამდე ვერ მიიღეს ვერავითარი ზომა უბინაოდ დარჩენილთა და დაზარალებულთა საკვებით მომარაგებისა და დასახლებისათვის. ნეაპოლის სასურსათო მდგომარეობა ამასთან დაკავშირებით უფრო გაუარესდა.

*

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად, უბინაოდ დარჩა 40.000 კაცი. ფერფლი, რომელიც 3.000 მეტრზე ადის, ღრუბლების ფენებში ტენთან შერევის შედეგად, ძირს იყრება ტალახის სახით, რაც აფერხებს მიმოსვლის საქმეს.

მიუხედავად იმისა, რომ ვეზუვის მოქმედება უკანასკნელ დღეებში რამოდენიმედ შესუსტდა, მაინც ფერფლი დიდი რაოდენობით ამოდის. პომპეის მიდამოებში ფერფლის სისქემ უკვე ორ მეტრს მიაღწია.

კონსტიტუციის შეცვლის ბოლშევიკური ტაქტიკა

1940 წლის აპრილში, საბჭოთა ჟურნალ „ბოლშევიკში“ მოთავსებული იყო ფრიად მჭერმეტყველური სიტყვები: „წინააღმდეგობა სოციალიზმის ქვეყანასა და კაპიტალისტურ სამყაროს შორის ჩვენ შეგვიძლია მოვსპოთ მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის მხარდაჭერით. ამ საკითხზე სტალინმა განაცხადა: „ეს ნიშნავს, რომ ფაქტიური და ეფექტიური მხარდაჭერა ინტერნაციონალური პროლეტარიატის მხრივ, წარმოადგენს ძალას, რომლის გარეშეც, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების პრობლემა არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას“. ეს აზრები, რომლებიც გამოჩნდნენ პრესაში 4 წლის წინათ, საინტერესოა მოვიგონოთ ეხლა, როდესაც ინგლისისა და ამერიკის ბანაკში და აგრეთვე ნეიტრალურ ქვეყნებშიც სურთ, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ცვლილებები განიხილონ, როგორც სრულიად ახალი მომენტი საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ თეზისიდან განსაკუთრებული სიცხადით გამომდინარეობს, რომ თავისი პოლიტიკური კურსის ეხლანდელ ცვლილებაში მოსკოვი ხელმძღვანელობს იმავე პირობებით, რითაც თავის დროზე ხელმძღვანელობდა ლენინი, როცა მოელოდებოდა სხვა ქვეყნების შინაგანი დაშლის პროცესი და ამ ნიადაგზე ბოლშევიკური რესპუბლიკების თავისუფალი კავშირის შექმნა. მაგრამ, ის რაც ლენინს მხოლოდ თეორეტიულ წარმოდგენაში ჰქონდა, სტალინმა გადააქცია გარკვეულ პოლიტიკურ საქმიანობად. პირველ რიგში იგი ეხება საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას მეზობელ სახელმწიფოებთან და დროებით, ლენინის მსოფლიო რევოლუციის განხორციელებამდე, ისახავს მიზნად ევროპის კონტინენტის დაპყრობას. ეყრდნობა რა წითელი არმიის ძალას, სტალინი სთვლის, რომ მას შეეძლია დააჩქაროს პოლიტიკური ამბების ასეთი განვითარება. ამ მიზნით, სტალინმა ადრევე შეასწორა ზოგიერთი ესთეტიკური ნაკლოვანება საბჭოთა სისტემაში, რომლებიც შეიძლება გამხდარიყვნენ დამაბრკოლებელ მიზეზებად მსოფლიო ნდობის დამსახურებაში. სტალინმა, რომელმაც თავისი დიქტატურით წლების განმავლობაში ჩაახშო ყოველგვარი ეროვნული მისწრაფებანი, მიაღწია თავისი იმპერიის მართველობის ცენტრალიზებას სოფლის უკანასკნელ მილიციელამდე და თავი მოუყარა ქვეყნის მართვა-გამგებლობას მხოლოდ კრემლში, ეხლა გამოიგონა საბჭოთა ცალკე რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. მისცა მათ უფლება ჰქონოდით დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური ცხოვრება და იყოლიონ თავისი საკუთარი არმია. ეს იყო ახალი ტაქტიკის კულმინაციური წერტილი.

მაგრამ სტალინის იმპერიალისტური პოლიტიკის ზრახვებს, ყველაზე უკეთ სწორეთ ეს ტაქტიკა ამხელს. საბჭოთა კონსტიტუციის შეცვლამ განაცვიფრა მთელი მსოფლიო. ახალი პოლიტიკური კონცეპცია, რომლის მიხედვითაც არსებულ, მაგრამ გასანთავისუფლებელ საბჭოთა რესპუბლიკებს ენიჭებათ დამოუკიდებლობა საგარეო პოლიტიკაში, თითქოს აძლევს საშუალებას სტალინს განახორციელოს თავისი გეგმები. ის სიჩქარე, რომლითაც ახალი კურსი გატარდა ცხოვრებაში, სახელდობრ საგარეო კომისარიატების დაუყოვნებლივი ჩამოყალიბება საბჭოთა უკრაინასა და ბელორუსიაში, მთელი სიცხადით ლაპარაკობს იმაზე, თუ რა პრაქტიკულ გამორჩენას მოელის კრემლის მმართველი ამ სისტემიდან თავისი საბჭოთა იმპერიისათვის. ეჭვი არ არის, რომ სტალინის მიერ დანიშნული საბჭოთა უკრაინის საგარეო საქმეთა კომისარი, „ამხანაგი“ კორნეიჩუკი, რომელიც ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ ითვლება სტალინის მიერ შექმნილი პოლონეთის საბჭოთა კომიტეტის მეთაურის, პოლონელი ებრაელი ქალის ვასილევსკაიას ქმრად, — შეეცდება, რათა უკრაინელებმა და ბელორუსებმა წამოაყენონ თავისი პრეტენზიები პოლონეთის მიმართ. სტალინი კი, ამერიკელებისა და ინგლისელების მოსაჩვენებლად, რომელთაც პოლონეთის საკითხი მაინცდამაინც აღარ ტკივნავებთ, დროებით დაიკავებს განზომლოვანი ადამიანის პოზიციას მანამ, სანამ არ განხორციელდება უკრაინელებისა და ბელორუსების ეს უახლოესი სურვილები პოლონეთის საბჭოთა კავშირთან შეერთებისა, სავსებით „ლეგალურად“, ისე, როგორც იყო ბალტიის ქვეყნების „პლებისციტების“ დროს. გერმანიის დამარცხების შემთხვევაში, იმავე გზით უნდა წასულიყვნენ ბალტიისპირა ქვეყნები, ბესარაბია, ფინეთი და სხვა სახელმწიფოები. ეხლა, როდესაც ამერიკულ და ინგლისურ პრესაში, ჩვენ ვხედავთ ასეთ დაცინებით ცდებს, დაარწმუნონ ფინეთი მონახოს საერთო ენა მოსკოვთან, ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა, რომ ლონდონი და ვაშინგტონი უკვე დიდი ხანია მოელაპარაკნენ საბჭოებს, დასავლეთის ოლქების ტერიტორიების ხელში ჩაგდების მეთოდების ირგვლივ. სტალინისა და ბენეშს შორის დადებული ხელშეკრულების შემდეგ აგრეთვე შესაძლებელი ხდება ამ ფაქტის დადასტურებაც, რომ ბატონმა ბენეშმა, დაეთანხმა რა ამ პოლიტიკურ კონცეპციას, ჩეხეთი უკვე დიდი ხანია ახალ საბჭოთა იმპერიას მიაკუთვნა.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სავსებით მართალია, აცხადებს რა პოლიტიკური კეთილგონიერებით გაბრუებული, რომ საბჭოთა კავშირი აქამდე უარყოფდა მოსკოვის შეთანხმების ყოველგვარ გატარებას ცხოვრებაში. ეხლა კი ღებულობს ევროპის პრობლემის ცალმხრივ გადაწყვეტას. საბჭოთა კონსტიტუციის შეცვლამ, რომელსაც ასე პასიურად გამოეხმაურნენ ინგლისი და ამერიკა, მისცა სტალინს საბრძოლო პოლიტიკური საშუალება, რის დახმარებითაც მას შეუძლია, განსაკუთრებულ გართულებათა გარეშე, ისარგებლოს ადგილობრივი კომუნისტური ჯგუფებით მოსკოვისათვის საინტერესო სხვადასხვა საკითხებში და მოამზადოს ეს ქვეყნები იმ „დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის“, რაც საბოლოოდ გადააქცევდა მათ ახალ საბჭოთა რესპუბლიკებად და მიიყვანდა მათ საბჭოთა კავშირთან „ნებაყოფლობით“ შეერთებამდე. ამასთან, ერთერთი გერმანული გაზეთის აზრით, ასეთი მოჩვენებითი აღდგენა სამხედრო და საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობისა, აძლევს ბოლშევიკურ ჯგუფებს საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე ოლქებში, ჩინებულ არგუმენტს, რის დახმარებითაც ისინი შესძლებენ გაჰფანტონ უნდობლობა იმ ხალხებში, რომელთა შეერთება განზრახული აქვს სტალინს. გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ საბჭოთა რესპუბლიკების უფლებას თავიანთი საგარეო საქმეთა კომისარიატების საშუალებით ჩაატარონ ტერიტორიული დავა მეზობელ სახელმწიფოებთან, ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რა ჰქონდა სტალინს მხედველობაში კონსტიტუციის შეცვლის დროს.

გაზეთი „ბერლინერ ბორზენ ცაიტუნგის“ დიპლომატიური თანამშრომელი, მკვეთრად ახასიათებს რა ბოლშევიკური პოლიტიკის ამ ახალ ფაზას, სწერს: „საიდანაც არ უნდა მოვიდეს საბჭოთა დიპლომატი, ბაშკირეთისა თუ უკრაინის რესპუბლიკიდან, ის არის მოსკოვიდან გამოგზავნილი და ინიშნება თავის პოსტზე კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს მიერ“. ამ ახალი, ეროვნული ფერებით შეღებილი საბჭოთა პოლიტიკოსების მოღვაწეობა ევროპაში მიმართული იქნება საბოლოო ანგარიშში ევროპის ბოლშევიზაციისაკენ, რის წინააღმდეგ მოქმედებაც მხოლოდ გერმანულ იარაღს შეუძლია.

უმცროსი მეთაურის დამხმარე

რა არის ორიენტირება

2. ორიენტირება მზითა და საათით

ამ შემთხვევაში, თუ მებრძოლს თან არ აღმოაჩნდა ბუსოლი, დღისით მხარეების გაგნება შეიძლება მზის საშუალებით. ყველასათვის ცნობილია, რომ შუადღისას მზე ყოველთვის სამხრეთით იმყოფება და მზის ჩრდილი, რომელსაც სხვადასხვა საგნები იძლევიან, მიმართულია ჩრდილოეთისაკენ. რაც შეეხება მზის ამოსვლას და ჩასვლას, ეს დამოკიდებულია წლის დროზე, რაც აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. ზამთარში მზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ამოდის და სამხრეთ-დასავლეთით ჩადის, ზაფხულში კი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ამოდის და ჩრდილო-დასავლეთით ჩადის. მხარეების ზუსტად გაგება მზის ამოსვლით და ჩასვლით შეიძლება მხოლოდ გაზაფხულზე და შემოდგომაზე, როდესაც ხდება დღისა და ღამის გათანაბრება.

მხარეების გაგნება მზის საშუალებით შეიძლება აგრეთვე საათის დახმარებით. ორიენტირება ამ ხერხით სწარმოებს შემდეგნაირად: საათი უნდა დავაყენოთ ხელში თვალის სასწორზე და, ვატრიალოთ ჰორიზონტალურად ისე, რომ საათის მაჩვენებელი ისარი დაემთხვეს მზის მიმართულებას. შემდეგ გონებაში უნდა გავატაროთ კიდევ ერთი ხაზი, რომელიც შეაერთებს ჩვენ თვალსა და საათის ციფერბლატის იმ ადგილს, სადაც ნაჩვენებია ციფრი 12. მიღებული ორი მიმართულება შექმნის კუთხეს, რომელიც იძლევა საშუალებას განახევრებით (ნახევრად გაყოფით შედარებით საზუსტოდ) ქვეყნის მხარეებს. ამისათვის, ჩვენს წარმოდგენაში საჭიროა გავატაროთ მესამე, დამატებითი მიმართულება, რომელმაც ჩვენს მიერ უკვე მიღებული კუთხე უნდა გაყოს შუაზე. შუახაზის მიმართულება იქნება სწორედ სამხრეთი. თუ ამ ხაზს გავაგრძელებთ მეორე მხრით, იგი ჩრდილოეთისაკენ წარიმართება (იხ. ნახაზი).

მზითა და საათით მხარეების გაგნების დროს შეიძლება ორ შემთხვევას შევხვდეთ: მხარეების გაგნება დღის საათებში, შუადღემდე და შუადღის შემდეგ. ორიენტირების პრინციპი ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე რჩება, იმ განსხვავებით, რომ სამხრეთის მაჩვენებელი მიმართულების კუთხე საათზე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები, შუადღემდე მარცხნივ წარიმართება, ხოლო ნაშუადღევის საათებში — მარჯვნივ.

3. ორიენტირება ღამით

ღამით მხარეების გაგნება ზუსტად შეიძლება მთვარისა და ვარსკვლავების საშუალებით. მთვარით ორიენტირებისათვის საჭიროა ზოგიერთი ასტრონომიული ცნობების ცოდნა, რაც შედარებით ძნელია. ვარსკვლავებით ორიენტირება კი იმდენად ადვილი საქმეა, რომ ამ მეთოდით ყველა მებრძოლს შეუძლია ისარგებლოს. მხარეების გაგნება შეიძლება პოლარული ვარსკვლავით. იგი მდებარეობს ჩრდილოეთის პოლუსის ახლოს და ცის თაღზე ადგილს არ იცვლის. უმთავრესად მოწმენდილ ღამეში ამ ვარსკვლავის მოძებნა არც ისე ძნელი საქმეა. ამისათვის შემდეგნაირად უნდა მოვიქცეთ: პირველად ცის თაღზე უნდა მოვძებნოთ ვარსკვლავთა ჯგუფი, რომელსაც დიდი დათვის თანავარსკვლავედი ეწოდება (იხ. ნახაზი). იგი შესდგება დიდ მანძილზე გაშლილი შვიდი ვარსკვლავისაგან და მოგაგონებთ გრძელტარიან კოვზს. ორი უკანასკნელი ვარსკვლავი სწორი ხაზით რომ შევაერთოთ და გონებაში ეს ხაზი გავაგრძელოთ დაახლოვებით 5-ჯერ მეტი მანძილით, დავინახავთ დიდ ვარსკვლავს, რომელიც პოლარული ვარსკვლავი იქნება. იგი ეკუთვნის მეორე თანავარსკვლავედს, რომელსაც პატარა დათვი ეწოდება, და შვიდი ვარსკვლავისაგან შესდგება. პოლარული ვარსკვლავით ჩვენ ვაგნებთ ჩრდილოეთს, რის შემდეგაც უკვე ადვილია დანარჩენი მხარეების გაგება.

*

გარდა მთვარისა და ვარსკვლავებისა, მხარეების გაგნება შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნებით, თუ დასახლებულ ადგილებთან ახლოს ვიმყოფებით. ორიენტირება შეიძლება ეკლესიის, ძეგლებისა და სალოცავების საშუალებით, რადგანაც ამ ნაგებობებს ყოველთვის განსაზღვრული მიმართულება ეძლევათ.

ორიენტირება, როგორც დღისით, ისე ღამით, შეიძლება აგრეთვე მცენარეებით, ხის ძირკვებითა და სხვა ნიშნებით, რომლებიც დაახლოვებით მაინც იძლევიან წარმოდგენას ქვეყნის მხარეებზე.

მაგალითად, ხის ქერქი ჩრდილო მხარეზე უფრო ნესტიანია და ხავსით იფარება, წლიური რგოლები ხის განაჭერზე სამხრეთი მიმართულებით უფრო ფართოა, ვიდრე ჩრდილოეთ მხარეზე და სხვ.

ლეიტენანტი შ. ლ.

ბოლშევიკური კურიოზები

✡ წითელი არმიის იუბილესთან დაკავშირებით, სტალინის გენერალ-მაიორმა ლომინეიკომ რადიოთი წარმოსთქვა ერთგვარი სიტყვა, სადაც, სხვათა შორის, სთქვა: „მიდის რა შეტევაზე, ათასობით საბჭოთა მეომრები ილხიდებენ: „თუ მომკლავენ, შეიძლება კომუნისტად ჩამთვალეთ...“

ცხადი არ არის იმის მიზეზი, რომ სიცოცხლეში ასეთი სურვილი წითელარმიელთა უმეტესობას სრულიად არ აქვს..

✡ იერიშებულ კომისრებს, რითაც ამერიკელები გაძლიერებით ამარაგებენ წითელ არმიას, წითელარმიელებმა ირონიულად „მეორე ფრონტი“ უწოდეს.

1. აღმოსავლეთის ფრონტის ჩრდილო ნაწილი, მზადება საზენიტო არტილერიის დასაბრძოლად; 2. საბრძოლო ჯარი ტყეში.

ბედის ვარსკვლავი

ლევ. ამური

ჩამოიცლებ ღრუბლის პირბადეს,
პატარძალივით დაეცები ცაზე...
ნეტა რათ გინდა, რათ დაიბადე,
ანდა რისთვის ხარ ლამაზი ასე!?.

თითქოს სიმშვიდის ბურუსში გამხვევ
და მაინც შეუთვის მიმართვეს ტალღა,
დამესახები ხან ქალის სახედ,
შეგიყვარებ და გაქრები სადღაც.

ცივ სიშორიდან დამყურებ მშვიდად,
გამოუცნობი იდუმალებით...
შენი სითბო და სინათლე მინდა,
თორემ დამლუპავს ქვეყნის წვალება.

სით ილტვიან, სად გაიფანტნენ
შენი სხივები ლილიან გზაზე?!.
ეჰ, რატომ გინდა, რათ დაიბადე,
ანდა რისთვის ხარ ლამაზი ასე!?.

მ ა რ ტ ო ხ ე

მიწას დაღნობია ქარვა და ლალები,
ჰქრის და შემოდგომის დარია...
დაბლა დაფენილა შენი ლალაღები
ლალის ლალაღების დარია.

ხეთა ნელი რხევა მესმის მე ნანებად,
ნეტა ტყულილით რა ასულებს?!
შენი მოშორება რათ არ ენანებათ
ღელებს, ცის მხიარულ ასულებს?!.

მორით მთაგორები იოშმორებიან,
მზეთობს დახვედრიან თავაზით.
შენს წინ ქალიანი კვლავ ის მორევია,
ტალღა ტალღას სდევს, ვით ავაზი.

აღარ ესარები მზესა და ცივ ნიავს,
აღარც გაზაფხულზე მარტობას...
მიჰქრის მდინარე და ზვირთნი დასცინიან
სითლად შენს მწუხარე მარტობას.

*

წუხელის მთელი ღამე იქროლა

ტ. გარათელი

წუხელის მთელი ღამე იქროლა,
სარკმელს მოიწყდა და იწრიალა,
ტკბილი ოცნება თან გაიყოლა
საზიზღარმა და ხმახრანწიანმა,

არ დამაძინა... ცივი შხეფები
აწვიმა მიწას ავი თარეშით...

რა თავხედურად დაეხეტება
შემოჭრილიყო უცხო მხარეში!..

ეს ქარი კიდევ დიდხანს იქროლებს,
ეს ქარი კიდევ დიდხანს იქნება?
მტრების ძალები კიდევ იბრძოლებს
ჩვენი სიცოცხლის გასაფითრებლად?!..

შატილის ლეკი

ლ. ლინი

1.

ცამ დაიქუხა...
დაიგრიგვინეს მზარიხეჭყანიერმა მთებმა...

ნიაღვარმა ჩამოიცვა ფერდობები. საჯიხვეებში ზათქით მოსწყდა ლოდი და ბილიკებზე ჩამოწვა. ელვამ შემოანათა წისქვილში. მოხუცი მეწისქვილე შეკრთა, ხვამარი გადაიკეტა, მერე კიდის წინ გაწოლილ ძაღლს ჩახედა თვალებში.

წისქვილის სახურავზე ისევ ხმაურობდა წვიმა. მეწისქვილემ გაიხედა ღელეში წყვდიადს. გადაიწერა პირჯვარი და განიერი მუხლი არაგვიდან მოვარდნილ ცივ ნიავს მიუშვირა.

უკანასკნელად გავარდა მეხი ჭიუხში. დატკრციალეს ტანმაღლამა, გადაგრეხილმა მუხებმა, ლაწალუწით დაუშვნენ ძირს ტოტები და გადათქვირებული რუკი მიაშხეთ მიწას... ძაღლი ლმუილს მოჰყვა, თითქო სცემდა კარებს. მეწისქვილე უხიტუად ადგა სარკმელთან და მხოლოდ მაშინ გამოეტკა, როცა ყველა გაძლიერდა...

„უცხოთ მოვიდეს, იქნებ წმინდაო გივარგი მცველის“, იფიქრა ბერიკაცმა და კვლავ ჩახედა თავლას თვალებში...

ნაშუადღევს წვიმამ გადაიღო. ამობიქრებულმა არაგვმა ბორანი წაიღო, ბინდი ჩამოწვა. მეწისქვილემ უკანასკნელი მინდი დაავარა დოლაბს, საფქვავის ჩამოთავებამდე კუნძზე ჩამოჯდა და მიდიოდა დაუწყო ჩხაუბს წვეთს... ძაღლი კარებთან ლმუოდა, შესცქეროდა ჭეურტანას, საიდანაც ქარი შემოიჭრა... დაიჩრიალა სარკმელმა და საფქვავიც მორჩა. მოხუცმა ხვამარები დარეკა, გახსნა ურდული, ახსნა ლმუილი და ფეხებში გაეხვია. დოლაბის წინ ხის სკამზე საცოდავად ადგა კაცი.

წისქვილისაკენ მიმავალ ბილიკზე სამნი მოავლევდნენ ცხენებს. ერთი მათგანი უარამილელ ხუდურზე იჯდა, ნახადი ეხურა... დაწინაურებულმა ცხენი ზეთ წისქვილზე მოიგდო, სარკმელში კვარის შუქი გამოკრთოდა...

„ვიღაა!“ დაიყვირა მან და სიტყვის ტარით რამდენჯერმე დაჰკრა კარებს. შორს მოისმოდა ნილების ჩახარები, მეთაურები გამოდიოდნენ თარწისიდან... ძახილზე თვალი შეატრიალა, დაშვა და მოხუცი შეიცრიცა... მეწისქვილემ ერთი გააზმორა, მერე ქარში ჩასობმა ძახილი თუ არა, წამოდგა. შემხედა კედელზე დაკიდებულ თოფს, რაღაც იფიქრა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ურდულს ჩაეჭიდა ჩამოსაგდებად. ვილა ბილიკთის შემთხვევისთვის ეყვედლი არ იყო უცხო ხევსურეთში. ხევსურეთში მიმავალი ცხენოსნები ყოველთვის მის წისქვილში ათევდნენ ღამეს ხოლმე. მან კარგი ამბები იცოდა, გამოცდილი მეზობრად იყო და რამდენი ლეკის ამ თავზეხელაღებულ არაგვს ჰქონდა, თითზე ჩამოგითვლიდათ...

„იქნებ ქისტია, სისხლ მაძიებელი, წერას აუტანია“ — უთხრა თავისთავს მეწისქვილემ და კარი გააღო...

„ღამე მშვიდობისა, ბიძავ!“ შეეგება მეწისქვილეს ცხენოსანი! „გწყალობდეს წმინდაო გივარგი, შვილოვ“ უთხრა მოხუცმა. ცხენოსანი ცხენიდან გადმოვიდა...

„რაი გაგიჭირდება, ვიცეკ ამ ღამეში? თემიბანი რაი ხუარს?“ — შეეკითხა მოხუცი ახალგაზრდა მოხევეს, როცა ისინი წისქვილში შევიდნენ...

„ბერმწიფის შვილი გავიწვიოთ... ბატონიშვილი თავისი მხლებლებით აქაი მოვიდის — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა მოხევე და ხვალი რობის კალთას არხევდა... მეწისქვილისათვის ყველაფერი გასაგები იყო... ანგარიშმიუცემლად აცეცებდა ჩაღრმავებულ თვალებს, არ იცოდა, რა ექნა... თავლა აფეთა რათა წინ და შესცქეროდა ამ არაჩვეულებრივ სტუმარს...

იცოდა წვიმის შემდეგ წისქვილში ენით შეაცეცხლეთ. მეწისქვილე განუწყვეტლივ აგროვდა ზედ ზიდულს. მეხის კუნძზე იჯდა ბატონიშვილი... მის ლურჯ ყირიმულ ხამეს, არწივისებრ მოხაზულ თვალებს აშუქებდა ცეცხლის სინათლე და რამდენიმე ულვაშს ამაღლებდა... ბატონიშვილი დინჯად უსმენდა მოხევის კარგის ამბებს და რამდენჯერმე რქების აწითლებულ იღიმოდა. მეწისქვილე ბავშვივით წამოიტიხედავდა: ამგრე შენი კუნძიანი ბატონიშვილის ნახავდი გაზაფხულ. ჯიხვის უმწროს მთების ხედგრძელი შუბები, ბატონიშვილის ხმალი დალივიწყ, გზა უკუნეთის...

განთიადისას არაგვის ზვიმას სქელი ნისლი დაასწვა.

ნაწვიმარ ხევში ცოდვა...

ბატონიშვილი და მის გამყოლებს წინ მიუძღოდა მოხუცი...

ისინი მიდიოდნენ არაგვის ფონზე ჭიმიტოსაკენ...

„ბატონიშვილის ლხენა და დღეები... გზა ლევისა და წმინდა გივარგისა, რომ დავიმარცხეთ, მამაპაის ხმალ არ შეარცხვენი... მთის გავილე, მთის შენითაი იქნების“... უთხრა მეწისქვილემ ბატონიშვილს, როცა ფონი სანახევროდ გაიარეს... გაღმა რომ გავიდნენ, ბატონიშვილი ცხენიდან ჩამოვიდა, მხარზე დაადო ხელი მოხუცს, გახედა არაგვს, რომელსაც ეზღვის გამოიხედავდა და იმასავით შეხედა:

„ერთმ როცა გვარბევს, ხმალი ქარქაშში არ ჩაგება... რაიც მეხანათია, მაგრამ ქართველის მკლავი ვაჟკაცური და და თითოს წაბლი მეტამ მშვიდი აქვს“, ამ სიტყვებით გამოემშვიდობა მეწისქვილეს ბატონიშვილი.

ხევსურეთისაკენ მიმავალ გზაზე სამნი მიდიოდნენ. არაგვის მეხლიან, საცა კლდის კარია, ილენი მოხუცი და თავლა, ორივენი გასცქეროდნენ გზას, რომელზედაც მიჯ წერტილებად სჩანდნენ ცხენოსნები...

2.

ხმაგავ შატილს, ლეკების სოფელს...

მთვარის მკრთალ შუქზე წამომდგარან კოშკების ჩრდილები. დევაჩვეში მინთრიალებს დაუდგარი არღუნი და უნდარის გარინდულ მთებს. შატილი ხან ხევზეა გადადებული. მიარეინის ხევსურეთსავით ჩამოკიდებულან ქვის პატარა სახლები. დევაჩვევიდან პირიქიით მოისმის თუშების მთა, დოლაბის მაღალი კოშკი. ეს კოშკი ყველაზე მაღალია მთელ ხევსურეთში და ათასეულობით ლეგენდის და სიმღერის წყაროა...

მრავალი ზეიმის მოწმე შატილი...

ეს გაშვეტილი, ჩაგრეხილი მთები მოწმენი არიან ბევრი გმირობისა და სისხლისა... ყველა გამოქვაბულში დაბუდებულა ზღაპარი ხევსურის თავგანწირვაზე...

მაშინაც რეკდნენ ზარებს ღოლაურის კოშკიდან...

ხევსურის სახლის წინ მეხატე გამოეტანა სახმატის ჯვარი... შატილის მკვიდრნი ილოცვიდნენ ვუღელიშვილის წინაშე, ლოცვიდნენ ვაჟკაცების მკლავსა და ხმალს, ხევსურის სისხლისა და ნამუსის შემნახველებს...

ყველა სახლში ცეცხლი ენთო...
ხვამდნენ ჯიხვის ყანწებით...
იხრიდნენ მაჭახელებს კოშკებიდან...
ანარცხებდნენ ტყვიას იატაკზე...

გამოჰქონდათ წინაპართა იარაღი და ასვედრებდნენ ღვინით, ქერის ლუდით...

შატილში მაშინ დიდი ზეიმი იყო... ანდა როგორ არ ეზეიმათ, როცა ოთმოცივე კოშკიანმა სოფელმა სასტიკად დაამარცხა ათასი ქისტი. ქისტების წინამძღოლი ახვერდ მამედი შატილელებმა მოისხეს, ლამობდა ხევსურთა დარბევას... ღოლაურთა კოშკიან გადაიხადეს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი შატილის ვაჟკაცებმა. ასი ხევსური ხმალამოღებულ მოუდგა მტერს...

მზე გადაიხარა...

თავკაცებიდ ქისტებს ხევსურები არღუნში მერიდნენ. კოშკის ახლოს ისევ გრძელდებოდა წინამძღოლთა ომი. ხევის ბერი თორღვალი ურმობდა ქისტების მეთაურისადმი ახვერდ მამედს... აჰა, შეეჭრიდა თორღვალი მტრის ცხენს, სადავე დაუჭირა, ქისტის მოქნეულ ხმალს ფარი მიაგება... ახვერდ მამედს ხმალი მეორედ მოქნევა აღარ დასცალდა...

„ხირთაგ, ხირთაგ!“ ერთი ამოიგმინა მან და ცხენიდან ისე მოსწყდა, თითქოს მიჭრილი ხე დაეცა.

„ქისტის სისხლი!“ დაიღრიალა თორღვალმა, დაჰხედა რა მტრის მკერდიდან მომჩქეფარე სისხლს...

ხალხმის შატილში ბრუნდებოდნენ იმარჯვებულნი... მათ წინ მიუძღოდათ ხევის ბერი თორღვალი, რომელსაც მიჰქონდა წაროშეული ბაირაღი, მიჰყავდა ჩერქეზული ბედაური... ბედაურზე ახვერდ მამედი ეკიდა...

ამ გამარჯვების აღსანიშნავად ზვავზე ქალებს დაენთოთ ცეცხლი, ხახმატის ხატის წინ მიირეკეთ საზვარაკო ხარები...

ეხლაც დიდ ზეიმს ელოდა ალბათ შატილი...

გუშინ სამხრობისას უშვიდან მიუბრძა ამოიჭრა... ბატონიშვილი მოდისო — გრიგვინებით გაისმა შატილში და აქედან სოფელ-სოფელ გადავიდა ხმა. ხევსურეთს უყვარდა ბატონიშვილი, უყვარდა ხმლის რაინდი, პატარა კახის ნაშიერი, ქართული მკლავის დიდება, რუსის მაწოლკებელი...

ისევ ეჩინა სოფელს, როცა სკლარს ხევი გადასჭრის ბატონიშვილის მხლებლებმა...

„ბატონიშვილი ამოის!“ დაიძახა ერთმა მხლებელმა და თოფი სამჯერ მიაქერა ლოდეარებს...

რამდენიმე წუთის შემდეგ ღოლაურთა კოშკიდან გაისმა საგანგაშო ხმა...

შატილს ძვირფასი სტუმარი ეწვია...

გაგრძელება იქნება

კარიკატურის კუთხე

სტალინი და მცირე ერები

— გამიღეთ კარი, საყვარელო ბავშვებო, მე თქვენ მშვენიერი რამ მოგიტანეთ!

*

წითელი კატა: ჩემს კუჭში, ძვირფასო თაგვებო, თქვენთვის მეტად სასიამოვნო იქნება ყოფნა და მე არავითარ თქვენგანს იქ მოხვედრაზე არავითარ გავლენას არ მოვახდენ!

*

გერმანული საჰაერო ძალეა ინგლისამერიკელთა ტერორისტულ თავდასხმებს შედეგ უპასუხებს ლონდონზე ძლიერი საჰაერო შეტევებით.

— ოჰ, ეს ცეცხლზე შეტია, ამას მე უკვე აღარ მოველოდი!

გაზაფხული გერმანიაში

სასუმარო ამბები

მახვილი კრიტიკა

ერთხელ შილერთან მივიდა ახალგაზრდა უნიჭო პოეტი და მიმართა თხოვნით წაეკითხა მის მიერ დაწერილი ლექსები. შილერმა გასინჯა ლექსები და სათანადო შენიშვნებით დაუბრუნა უკან.

რამდენიმე დღის შემდეგ მოუსვენარი პოეტი ხელმეორედ გამოცხადდა შილერთან და სთხოვა წაეკითხა მის მიერ უკვე შესწორებული ლექსები. შილერმა თვალი გადაავლო მათ და ღიმილით შენიშნა: „რა თქმა უნდა, უკეთესია, ვიდრე წინათ იყო, მაგრამ კართოფილისაგან ანანასის მიღება მაინც შეუძლებელია."

ქერის პური

— ამ ოხერმა ქერის პურმა ბავშვები დამიხოცა, — შესჩივლა ერთმა ღიასახლისმა მეზობელს.

— კიდევ გაქვს?

— არა, მადლობა ღმერთს, გუშინ გამითავდა.

— ჰოდა, ამის შემდეგ უფრო დაგიხოცავს! — უპასუხა მეზობელმა.

ნაზი კანი

გენერალი ვრანგელი, რომელიც სასახლეში ნადიმზე იყო დაპატიჟებული, მაგიდასთან ერთი ახალგაზრდა პრინცესის გვერდით მოთავსდა; პრინცესა ჭამის დროს თავის ძვირფას ხელთათმანს ხელიდან არ იძრობდა. ვრანგელმა მოურიდებლად ჰკითხა:

— ჭამის დროს მაინც რატომ არ იხდით ხელთათმანს?

— ტყავის ხელთათმანის განუწყვეტელი ტარება კანს ხავერდივით რბილს ხდის და სინაზეს უნარჩუნებს.

— საკვირველია, — წაიბურტყუნა ვრანგელმა, — უკვე ოცდაათი წელიწადია, ტყავის შარვალს ვატარებ და ამის მსგავსი არაფერი შემინიშნავს!

ფიცის გამო

გაუთხოვრად მუცელწამოზრდილ გოგოს დედამ თმაში ხელი წაავლო და ყურში ჩასძახა — თავი რათ მოგვჭერი, ოჯახი რათ შეგვირცხვინეო.

— უარი როგორ უნდა მეთქვა იმ ბიჭისათვის, რომელმაც თქვენი თავი დამაფიცა — იმართლებდა თავს გოგო.

სწორი ცნობა

მ ო ტ ო ც ი კ ლ ე ტ ი ს ტ ი: „გეთაყვა, მითხარით, როგორ მივიდე მოკლე გზით საავადმყოფოში?"

ქ ვ ე ი თ ი: „სულ ადვილად: მოტოციკლეტით ხეს დაეტაკეთ!"

ბუასილის წამალი

მატარებელში ერთი ახალგაზრდა კაცი ქალიშვილს, რომელიც კბილის ტკივილისაგან შეწუხებული იყო, უმტკიცებდა — ჩემი კოცნა ყველაფრის უებარი წამალია, გაკოცებ და მოგირჩებაო.

— თქვენი ჭირიმეთ, ბატონო, — მიმართა იქვე მჯდომმა გლეხმა, — თუ ასეთი წამალი იცით, მეც მიშველეთ რამე, ხუთი წელია განუკურნებელი ბუასილით ვიტანჯები!

საკვირველი ნათესაობა

სათადარიგო ლაზარეთში მივიდა ერთი ლამაზი გოგონა და ლეიტენანტი ბ. იკითხა. მოწყალების დამ, წარმოსადეგი შეხედულების ხნიერმა ქალმა, განცვიფრებით შეხედა გოგონას.

— რა გნებავთ ლეიტენანტისაგან?

— მე მისი და ვარ, — მიუგო ახალგაზრდა ქალმა.

— ძალიან მოხარული ვარ თქვენი გაცნობისათვის — მე კიდევ მისი დედა გახლავართ!

გასართობი

ჭადრაკი

ამოცანა Nr. 8

შ. ა. ზინკმანი



შამათი სამ სვლაში

თეთრები: მზb1, ლd1, ეg6, მხd5, პპc2, c4 (6).

შავები: მზc6, პპc5, d6 (3).

ამოცანა N 7-ს გადაწყვეტა:

f7 - f8 — მხედარი!

ნარევი

ექვსი ტყუპი

შუაამერიკის რესპუბლიკა ნიკარაგუაში ერთმა ქალმა ექვსი ტყუპი შობა, მათ შორის ოთხი ვაჟი და ორი გოგო. ბავშვები ჯანმრთელად არიან და ხმელეთისთა დასკვნით შემდეგომშიც მათს სიცოცხლეს საფრთხე არ მოელის.

როგორ იზრდება კიბო

კიბო არ იზრდება თანდათანობით, როგორც სხვა ცოცხალი ორგანიზმი. მას ხელს უშლის მაგარი ჯავშანი, რომლითაც ჯავშნით შემოსილია მისი სხეული. ამიტომ კიბო იზრდება წელიწადში მხოლოდ რამდენიმე დღეს, როდესაც ხდება ჯავშნის გამოცვლა.

ვულკანური გათბობა

იაპონიაში იხილავენ პროექტს, რომლის მიხედვითაც ვულკანის სითბო სხვადასხვა მილებით გაყვანილ უნდა იქნას ქალაქებში და გამოყენებულ სახლების გასათბობად. ამ პროექტის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელია. ახლო მომავალში იაპონიის ქალაქებმა მართლაც შეიძლება მიიღონ ვულკანური სითბო.

ხმელეთის თევზები

შეცდომაა ის აზრი, თითქოს თევზებს მხოლოდ წყალში შეუძლიათ ცხოვრება. კუნძულ ცეილონზე არსებობენ ისეთი თევზები, რომლებიც დიდ ხნით სცხოვრობენ წყლის ნაპირებზე და აგრეთვე მოგზაურობენ ხმელეთზე საკვები მასალის საშოვნელად. ამ თევზებს ხშირად ნაპირიდან 2 კილომეტრის დაშორებით პოულობენ.

იცით თუ არა თქვენ?

...რა არის სიკვდილის სხივები?

ასეთი სახელი შეიძლება ეწოდოთ ულტრამოკლე ტალღებს, რომლებიც იმყოფებიან ჩვენი სმენადობის გარეშე, ე. ი. აქვთ 40 ათასზე მეტი რხევა წამში. ამ ხმას, რომელიც ადამიანის ყურამდე ვერ აღწევს, აქვს უნარი დაშალოს ცოცხალი უჯრედები, გაარღვიოს სისხლის ბურთულები და აგრეთვე გამოიწვიოს ცილის შედედება. შედარებით პატარა ცოცხალი არსებანი, როგორიცაა თევზები და ბაყაყები, ამ ხმის მოქმედებით სწრაფად იღუპებიან. ულტრამოკლე ზეგავლენით ამასთანავე იშლებიან შემადგენელ ნაწილებად რთული ქიმიური შენაერთები. ულტრამოკლე ტალღებს ხშირად იყენებენ სხვადასხვა პროდუქტების სტერილიზაციისთვისაც, რადგან ჩვეულებრივად მცირე ზომისაც კი განსაზღვრულ პირობებში უნარი აქვთ მოსპონ სხვადასხვა ბაქტერიები. ტალღების გადაცემა მანძილზე ჯერჯერობით მიღწეული არ არის. პრაქტიკულად ულტრამოკლე ტალღების გამოყენება ქიმიურ მრეწველობაში ჯერჯერობით სწარმოებს უმთავრესად თხელი შრეების თანაბრად განაწილებისათვის. შემდეგომში მეცნიერებმა ამ მიმართულებით შეიძლება მოგვცეს საინტერესო შედეგები ულტრამოკლე ტალღების პრაქტიკულად გამოყენების საქმეში.

მოხალისეთა საყურადღებოდ

ჩვენი გაზეთის მკითხველებში ჯერ კიდევ გაურკვეველია საკითხი — ნებადართულია თუ არა საველე ფოსტით მოხალისეთა და კერძო პირთა შორის მიმოწერა. ამის თაობაზე ვიძლევით განმარტებას: მოხალისეებს უფლება აქვთ იქონიონ წერილობითი კავშირი გერმანიაში მცხოვრებ გერმანელ კერძო პირებთან, ისევე როგორც გერმანელ ჯარისკაცებთან. თავისთავად ცხადია, ამ წერილებში არ უნდა იქნას აღწერილი საკითხი, რომელიც გამოამჟღავნებდა სამხედრო საიდუმლოებას.

ქართველ ლეგიონერთა ურთიერთ-დამხმარე სალაროს ფონდის გასაძლიერებლად ნებაყოფლობითი შემოწირულების სახით გადებული თანხა შემოტანილი უნდა იქნას შემდეგი მისამართით: Postscheckkonto, Berlin 25053 für Dresdner Bank — konto Nr. 3232.

მთავარი რედაქტორი
ახმეთ. ზაი მაღლაკელიძე
რედაქციის მისამართი:
Georgische Zeitung „Sakarthwelo".
Berlin W 7, Dorotheenstraße 64

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა

ფიქრები სამშობლოზე

ლეიტ. პაატა ყარძიელი

2. სვანები, მეგრელები, ჭანები...

ქართველი ერი, როგორც მთლიანი ორგანიზმი, უხსოვარი დროიდან არსებობს. მის ერთ ერთგვარ ხსენებად ჩამოყალიბებაში მთავარი როლი ითამაშა მშობლიურმა ენამ და ქრისტიანულმა სარწმუნოებამ. გარდა ამისა, როგორც მეორეხარისხოვან ფაქტორებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ტერიტორიას, ზნე-ჩვეულებებს, გარეგნულ მსგავსებას, ტანისამოსსა და სხვ. ყველა ამ თვისების შედეგად, დროთა განმავლობაში ქართველი ტომებისაგან მივიღეთ მთლიანი ქართველი ერი; ეს კიდევ ცოტაა. ერის ცნება არ იქნებოდა სწორად დახასიათებული, რომ მხოლოდ აღნიშნულ ფაქტორებზე შევჩერებულიყავით. ისტორიული ურთიერთთანამშრომლობა და ყველა განვლილი ბედის ტვირთების ღრმად შეგნების შედეგად, ქართველ ერში ჩაისახა ის უკვდავი ერთგვარი სული, საკუთარი მეობის ღრმა შეგნება, რომელიც დროთა ვითარების შემდეგ სულ უფრო და უფრო ძლიერდება და მტკიცდება.

დღეს ქართველ ერს სამი ენა გააჩნია: ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური. მიუხედავად ამისა, ყველა ქართველისათვის, შემაკავშირებელი და კულტურული ენა არის ქართული, რომელმაც არა მხოლოდ ერთ, არამედ მთელ ისტორიულ წარსულში მთამთავარი ეს სახელმწიფო როლი.

რას წარმოადგენენ საკუთრივ მეგრულ-ჭანური და სვანური? ისინი, ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან უმწერლობო, განუვითარებელი ენები, რომელნიც იხმარებიან მხოლოდ ადგილობრივ, კუთხური მასშტაბით და ისიც მხოლოდ წრეების მიერ. კულტურული მეგრელი, ან სვანი, ცხადია, ხმარობს ქართულ ენას, ანუ, ყოველმხრივ, უნდა იხმაროს, ვინაიდან ისტორიულად მუდამ ასე იყო და სხვანაირად ვერც წარმოიდგინა მეგრელმა ან სვანმა თავის ხალხთან ურთიერთობა. ძველ საქართველოში, და თვით უკანასკნელ ხანებამდე, სანამ საბჭოთა მზაკვრული პოლიტიკა ხელოვნურად არ განათხავდა მეგრულ ტომს მათთვის რაღაც საშინაო „ყაზარმე გაზეთის" დაარსებით, არც ერთ მეგრელს თავში არ მოუვიდოდა წერილი მეგრულად მიეწერა ოჯახის წევრისათვის, არც ერთი კულტურული მეგრელი არ დაუშვებდა იმას, რომ ქართულ ენაზე არ ელაპარაკა.

ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში ერთი უცნობი ავტორი შემდეგ აზრს გამოსთქვამს: ჩვენთვის, მეგრელებისათვის, დედა-ენა მუდამ ქართული იყო და არის, მაგრამ ჩვენ გვაქვს აგრეთვე მეორე, შინაური სალაპარაკო ენა, რომელსაც მხოლოდ ოჯახში, სოფელში ვხმარობთ და ისიც არა ყოველთვის. ეს მართალი აღიარება, რომელიც ეკუთვნის ტომით მეგრელ ავტორს, ნათლად ადასტურებს, თუ რა შეხედულებისა იყვნენ ჩვენი წინაპრები აღნიშნულ საკითხზე.

მეგრულად უკეთ იგივე და არის საქმე სვანებთან. ქართველი ერის ეს გმირული ტომი ოდითგანვე ქართულ მწიგნობრულ ენად აღიარებდა და დღესაც ამ აზრს მტკიცედ იცავს. ქართული სვანებისათვის სავსებით მშობლიურია.

ჭანების შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი თანამედროვე თურქეთში სცხოვრობს, ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან მათ, მოწყვეტილებს მშობლიურ მიწას, საშუალება არა აქვთ ეზიარონ დედაენის შთამაგონებელ გავლენას. საქართველოში არსებული ერთადერთი ჭანური სოფელი სარფი, რომელიც თურქეთის საზღვარზე მდებარეობს, ამ შემთხვევაში საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს იმისათვის, თუ როგორი პატივისცემით ეპყრობა ჭანი მშობლიურ ქართულ ენას.

მაინც რას წარმოადგენენ მეგრული და სვანური? ეს ენები ისტორიულად განვითარებული არიან ქართულისაგან წანარევნიდან და დღესაც იმდენად ახლოს სდგანან ქართულთან, რომ ზოგიერთი ენათმეცნიერი მათ ქართულის დიალექტებსაც კი უწოდებს. როგორც ლინგვისტურმა მონაცემებმა დაამტკიცეს, მეგრულ-ჭანურისა და სვანურის მეტი წილი სიტყვების ძირები ქართულია და რომ სწორედ ამ ენებში დღემდე შესანიშნავად არის შემონახული ჩვენი პრეისტორიული ენობრივი პროცესების ანარეკლი...

დღეს, ისე როგორც არასდროს, ძვირფასია ჩვენი მშობლიური ქართული ენა, ვინაიდან ამ ენის განვითარებულმა ძალამ მოგვცა დღევანდელი სახე. თანამედროვე ქართული წარმოადგენს ყველა დიალექტების საუკეთესო თავყრილს, სადაც საპატიო ადგილი უჭირავს აგრეთვე მეგრულ-ჭანური და სვანური ენებიდან შემოსულ ლექსიკურ მასალას.